ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 4 ნოემბერი, 2022 | №218 (8996) | ფასი: 80 თეთრი

## იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, სტრასბურის სასამართლომ გიორგი მამალაძის განაჩენი კანონიერად მიიჩნია

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატი: „სტრასბურის სასამართლომ თქვა, რომ ადამიანის უფლება დარღვეულია, იუსტიციის სამინისტრომ პროცესი წააგო"



გვ.5

# „სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას" შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია"





ნიკა ჩიტაძე: „პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება, შეიწყალოს პატიმარი კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, მაგრამ მე მოლოდინი მაქვს, რომ ამ ეტაპზე, პრეზიდენტი არ განიხილავს ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხს"

გვ.2

## „ოცნებას" ამომრჩეველი გაუნაწყენდა"



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „პოლიტიკური კრიზისი არის როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე"

## სპეცოპერაცია ოთხ რეგიონში და დაკავებული „ქურდულ სამყაროსთან" კავშირში მყოფი პირები



გვ.5



გვ.2

## ნიკა გვარამია მიმართვას ავრცელებს

## „დაჭრილი რუსები გაკვირვებას ვერ მალავდნენ, როცა მათ სამედიცინო დახმარებას ვუწევდით"



ქართველი სამხედრო ექიმი ლაშა ვარშალომიძე: „ჩვენ და უკრაინას საერთო მტერი გვყავს"

გვ.4

## პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩს შეხვდა



გვ.3

## „ღამის შოუს ბენდს" 17 000 ლარს ამჯერად ქარელის მერია ჩაურიცხავს

გვ.2

1993230720223

**2** ირაკლი კობახიძე: „ოლიგარქები არიან სააკაშვილები, კეზერაშვილები, სხვები"

**3** ნონა მამულაშვილი: „ვტოვებ პარლამენტს და ნაციონალურ მოძრაობას"

**4** რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 2 964 ბინა შეიძინეს

**3** პეტრე ცაავა: „რაღაც გონივრულ ვადაში თუ მამალაძეს არ გაათავისუფლებენ, რაღაც უკიდურესი ზომებია მისაღები"

# „სალომე ზურაბიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია“

## ნიკა ჩიტაძე: „პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება, შეიწყალოს პატიმარი კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, მაგრამ მე მოლოდინი მაქვს, რომ ამ ეტაპზე, პრეზიდენტი არ განიხილავს ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხს“

ნონა ცაბაძე

*„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.*

***– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? პარლამენტმა პირველი მოსმენით დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი მიიღო. რამდენად კარგი და სრულყოფილია ეს კანონპროექტი?***

– ჩემი აზრით, არ არის სრულყოფილი კანონი. გარკვეულწილად უკრაინის და მოლდოვის მოდელი არის გათვალისწინებული. ანუ იქ საუბარია იმაზე, რომ ოლიგარქი არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რაც შეეხება მის კაპიტალს, ის არ უნდა გამოიყენოს პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაკონტროლების მიზნით. ერთი მხრივ, თითქოს არ არის ცუდი კანონი, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც „ქართული ოცნება“ უარყოფს იმას, რომ ივანიშვილი არის ოლიგარქი და აცხადებს, რომ ის მეცენატია და არ ერევა პოლიტიკურ პროცესებში...

***– ეს კანონი ივანიშვილს არ შეეხებაო.***

– დიახ, სწორედ აქედან გამომდინარე მაქვს ეჭვი, რამდენად ჰპოვებს ეს კანონი ასახვას პრაქტიკულ ცხოვრებაში. თუ ამ კანონმა ვერ ჰპოვა ასახვა პრაქტიკაში, ბუნებრივია, მხოლოდ მის მიღებას და დოკუმენტის ქაღალდზე არსებობას, აზრი არ ექნება.

***– ბატონო ნიკა, გუშინ სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას განაჩენი ძალაში დატოვა. ოპოზიცია გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევს და პრეზიდენტს მიმართავენ ნიკა გვარამიას შეწყალების თხოვნით. შეიწყალებს პრეზიდენტი? ან რამდენად სამართლიანი გადაწყვეტილება იყო მიღებული?***

– გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ იყო სამართლიანი. ეს არის ერთ-ერთი მთავარი და კრიტიკული სატელევიზიო არხის და მისი ხელმძღვანელის დევნა. ცდილობენ, ამით ზემოქმედება მოახდინონ სხვა კრიტიკულ მედიასაშუალებებზე. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ადამიანს ბრალს დებენ იმაში, რომ თითქოს სამსახურებრივ ავტომობილს იყენებდა პირადი მიზნებისათვის. დიდი ბოდიში, მაგრამ ასე იყენებენ დღევანდელი ჩინოვნიკების 99%. ეს



ყველამ ძალიან კარგად ვიცით. მათი მანქანები ძალიან ხშირად ემსახურებიან მათი ოჯახის წევრებს. ბუნებრივია, ეს არის აბსურდული ბრალდება, რომელიც ნიკა გვარამიას წინააღმდეგ არის წაყენებული. საბოლოო ჯამში, ალბათ მაინც სამართლიანობა გაიმარჯვებს, რადგან საქმე მივა სტრასბურამდე და ევროპის საბჭოს სასამართლო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

***– პრეზიდენტთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ? შეიწყალებს სალომე ზურაბიშვილი ნიკა გვარამიას?***

– მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილება, შეიწყალოს პატიმარი კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, მაგრამ მე მოლოდინი მაქვს, რომ ამ ეტაპზე, პრეზიდენტი არ განიხილავს ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხს. სამწუხაროდ, იმ ფონზე, როდესაც პრეზიდენტმა შეიწყალა, მაგალითად, პოლიციელის მკვლელი და სხვა ისეთი ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ კრიმინალური წარსული და ჩადენილი რეალური სისხლის სამართლის და მორალური დანაშაული.

***– ბატონო ნიკა, გია ვოლსკი წინასწარ აკეთებს განცხადებას, რომ ნიკა გვარამიას შეწყალება გაამყარებს დესტრუქციული ძალების პოზიციებს. ის მოუწოდებს პრეზიდენტს, არ შეიწყალოს გვარამია. ეს ზეწოლაა უმრავლესობის მხრიდან პრეზიდენტზე?***

– გარკვეულწილად ზეწოლაა. „ქართულ ოცნებაშიც“ ცოტა აღელვებულები არიან, რადგან დღითიდღე იძაბება ურთიერთობები პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის. პრეზიდენტსა და მთავრობას შორის.

***– და ფიქრობენ, ამ გაბრაზებულ გულზე შეიძლება შეიწყალოს?***

– შესაძლოა. ამ დაძაბულობამ და დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც ალიევის ვიზიტი შედგა საქართველოში და საქართველოს პრეზიდენტს არ შეატყობინეს. არადა, დაუწერელი კანონია, როდესაც ერთი ქვეყნის მეთაური ჩადის მეორე ქვეყანაში, აუცილებლად უნდა შეხვდეს ქვეყნის მეთაურს. იქნება ეს სამუშაო თუ მეგობრული ვიზიტი, ყველა შემთხვევაში პრეზიდენტს უნდა შეხვდეს. პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი ამ ვიზიტის შესახებ არც ჩაუყენებიათ საქმის კურსში. მით უმეტეს, საქართველოს პრეზიდენტი სულ ცდილობს ცივილიზებულ სამყაროს აჩვენოს, რომ სწორედ ის არის საქართველოს ხელისუფლებიდან მომხრე, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტმა შეცვალოს გადაწყვეტილება და შეიწყალოს გვარამია. ეს თეორიულად დასაშვებია. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ამ ეტაპზე, ყველაფრის მიუხედავად, პრეზიდენტი ამ ნაბიჯს არ გადადგამს და არ განიხილავს გვარამიას შეწყალების საკითხს.

***– ბატონო ნიკა, ოპოზიციური პარტიები გაერთიანებაზე ალაპარაკდნენ. გასულ კვირას, გიორგი ვაშაძემ, ზურაბ ჯაფარიძემ და ელენე ხოშტარიამ გაერთიანების შესახებ განცხადება გააკეთეს. ყველა ოპოზიციურ პარტიას გაერთიანებისკენ მოუწოდებენ და პრაიმერის ჩატარებას სთავაზობენ. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– კარგია ოპოზიციის გააქტიურება ამ კუთხით. გამსხვილება აუცილებელია. შესაძლოა, ყველა ერთიანი სიით არ გავიდეს, მაგრამ კოორდინაცია აუცილებლად იქნება საჭირო. საერთოდ, როგორც ხდება ხოლმე არჩევნების წინ, ხდება გაერთიანება, გარკვეული ალიანსები და საარჩევნო ბლოკები ფორმდება. ამის ბევრი მაგალითი გვქონია. ყველა შემთხვევაში საჭიროა კოორდინირებული მოქმედება ამ პროდასავლურ პარტიებს შორის.

***– ასევე იყო მოწოდება, რომ დატოვონ მანდატები და გავიდნენ ქუჩაში. ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილება იქნება?***

– ოპოზიციური პარტიების პატივისცემის მიუხედავად, მათ ამ გადაწყვეტილებას არ მოვუწონებ და ვერ დავეთანხმები. მე ასე მგონია, რომ თითოეულმა ოპოზიციურმა პარტიამ უნდა იმუშაოს კოორდინირებულად და თითოეულმა პარტიამ უნდა იმუშაოს ორ ფრონტზე, პარლამენტს შიგნით და პარლამენტს გარეთ. პარლამენტში ბევრი კანონპროექტი იქნება განსახილველი, თუნდაც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მისაღებია საკონსტიტუციო ცვლილება და აუცილებლად დასჭირდებათ ოპოზიციის ხმები.

***– ანუ ერთმანეთს ხელს არ უშლის, რომ იყვნენ ქუჩაშიც და იყვნენ პარლამენტშიც?***

– დიახ, ასეა. მე ასე მგონია, რომ ჯობია პარლამენტში იყვნენ. მით უმეტეს, რადგან მიიღეს გადაწყვეტილება და შევიდნენ. ისინი გამოხატავენ საკუთარი ამომრჩევლის ნებას.

***– ნიკა მელია ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ამ სიტუაციაში რამდენად გამართლებულია ვადამდელი არჩევნები?***

– მე მაინც მგონია, რომ საჭიროა 2024 წლის არჩევნებისთვის მომზადება. სწორი, კოორდინირებული პოლიტიკა. აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილებები და არჩევნები ახალი კონსტიტუციით ჩატარდეს. ძველი კანონმდებლობით არჩევნების ჩატარებას არანაირი აზრი არ აქვს. ოპოზიცია ხშირად აგებს საინფორმაციო ომს ხელისუფლებასთან. ბოლო პერიოდში, ხელისუფლებამ საზოგადოების დიდი ნაწილი დაარწმუნა იმაში, რომ სწორედ მან აარიდა ქვეყანას ომი. რაც აბსოლუტური ტყუილია. ოპოზიციის წარმატებისთვის კი აუცილებელია ამ საინფორმაციო ომში გამარჯვება.

# ნიკა გვარამია მიმართვას ავრცელებს



„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მიმართვას ავრცელებს და საზოგადოებას, ბიზნესსა და ორგანიზაციებს „მთავარი არხის“ დახმარებისა და გადარჩენისკენ მოუწოდებს:

– მთავარარხელებო, ბიჭებო და გოგოებო, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რასაც აკეთებთ, ცხადია, ჩემი პირადი მხარდაჭერა იგულისხმება, მაგრამ ბევრად მნიშვნელოვანიც. მორალური პრეცედენტი, რომელსაც საკუთარი მაგალითით ამკვიდრებთ და აჩვენებთ ყველას. გაძლება და თან ღირსეული გაძლება ყველაზე მეტად იმას ჰქვია, რასაც თქვენ აკეთებთ. თავდადება და ბრძოლა ყველაზე მეტად იმას ჰქვია, რასაც თქვენ აკეთებთ, ერთგულება და სიყვარული ყველაზე მეტად იმას ჰქვია, რასაც თქვენ აკეთებთ.

მე თავს კარგად ვგრძნობ, ჩემზე არ იდარდოთ. არხს მიხედეთ. დასავლური ფრონტის მთავარი ხაზი ახლა „მთავარის“ ყოფნა-არყოფნაზე გადის და არა ჩემს გათავისუფლებაზე, როგორც ბევრი მცდარად მიიჩნევს. არხი უნდა გადარჩეს, სხვა გზა არ გვაქვს. არხი უნდა გადარჩეს. ამას თქვენს გასაგონად არ ვამბობ, თქვენ ამის შეხსენება არ გჭირდებათ. ამას ყველას გასაგონად ვამბობ, ვისაც არხის გადარჩენა ხელეწიფება. თუ რამე მიზნის ირგვლივ არის გაერთიანება საჭირო და აუცილებელი, ეს „მთავარი არხის“ გადარჩენაა.

ძალიან გთხოვთ ყველას, დაეხმარეთ „მთავარს“. იმათაც, ვისაც პირადად ჩემი გულშემატკივრობა ამოძრავებს, ვეტყვი, რომ ამ გულშემატკივრობის მთავარი ფორმა „მთავარი არხის“ დახმარებაა.

დაეხმარეთ „მთავარს“, ამას გთხოვთ ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით. გადაარჩინეთ „მთავარი“. ამას გთხოვთ ჩვენი სამშობლოს ევროპული მომავლის სახელით. გინდა 1 ლარით, გინდა მრავალათასიანი გრანტით. გინდა ღარიბმა, გინდა მდიდარმა. გინდა ქართველმა, გინდა უცხოელმა. გინდა ადამიანმა, გინდა ორგანიზაციამ. გინდა შემოწირულობით, გინდა რეკლამით. დაეხმარეთ „მთავარ არხს“, დაეხმარეთ „მთავარს“. ჩვენს თავისუფლებას, გთხოვთ უმორჩილესად.

დიდი იმედით და მადლიერებით, ნიკა გვარამია, – წერს ნიკა გვარამია.

შეგახსენებთ, რომ სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას განაჩენი 2 ნოემბერს გამოაცხადა. მეორე ინსტანციამ ნაწილობრივ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და კომპანიისთვის ზიანის მიყენებისთვის ჯარიმა საპატიმრო სასჯელით შეცვალა.

რაც შეეხება დანარჩენ ბრალდებებს, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილებში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაიზიარა – ე.წ. მანქანის ეპიზოდზე პატიმრობა ძალაში დატოვა, ხოლო მოსყიდვისა და ფულის გათეთრების საქმეზე ის გაამართლა.

# ირაკლი კობახიძე: „ოლიგარქები არიან სააკაშვილები, კეზერაშვილები, სხვები“



ირაკლი კობახიძე პრაქტიკულად ადასტურებს, რომ ოლიგარქთა რეესტრში მხოლოდ ხელისუფლებისთვის არასასურველი ადამიანები მოხვდებიან. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ისევ სააკაშვილ-კეზერაშვილს ემუქრება.

– დღეს პირველი მოსმენით მივიღეთ კანონი დეოლიგარქიზაციის შესახებ. მას მხარი არ დაუჭირა ოპოზიციის ძირითადმა ნაწილმა. აქედან გამოჩნდა, რომ ეს ადამიანები არიან სინამდვილეში დეოლიგარქიზაციის წინააღმდეგები. მათი პირდაპირი სუბიექტური ინტერესია, რომ ძალაუფლება დაიბრუნონ ოლიგარქებმა. ეს ოლიგარქები ვიცით, ვინ არიან: სააკაშვილები, კეზერაშვილები, სხვები.

ეს არის მათი პოლიტიკური ინტერესი. ამიტომ არ დაუჭირეს მხარი ამ კანონპროექტს.

ჩვენ გავაგრძელებთ კანონპროექტის განხილვას, რადგან მიგვაჩნია, რომ დეოლიგარქიზაცია ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ იმ ოლიგარქებმა, ვინც ხალხის ხარჯზე სისხლიანი ფული, მილიონები მიიღეს, არ დაიბრუნონ საქართველოში ძალაუფლება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი ცოტა ხნის წინ დაამტკიცა. 80 ხმით 9-ის წინააღმდეგ პირველი მოსმენით კანონპროექტი დამტკიცებულია. ხმა დოკუმენტს, რომელიც ივანიშვილის ოლიგარქების რეესტრში შეყვანას ბლოკავს, მისცეს „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა ე.წ. ხუნდაძე-სუბარის დაჯგუფებამ.

კანონის თანახმად, ოლიგარქების რეესტრში, ივანიშვილის გარდა, შეიძლება, მოხვდეს ნებისმიერი მდიდარი ადამიანი, ვინც პოლიტიკაშია.

# „ღამის შოუს ბენდს“ 17 000 ლარს ამჯერად ქარელის მერია ჩაურიცხავს



„ღამის შოუს ბენდი“ ქარელის ბიუჯეტისგან 17.000 ლარს მიიღებს – „მოზაიკას“ ინფორმაციით, 5 ნოემბერს, „ქარელობის“ გალა კონცერტზე სწორედ ისინი იმღერებენ და ქარელის მერია ამისთვის მათ 17.000 ათას ლარს გადაუხდის.

– გადაწყვეტილება მიღებულია, შესყიდვების სააგენტომ ნებართვა მოგვცა 17.000 ლარის დახარჯვაზე, – ამბობს ქარელის მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურის უფროსი ვახო თურქაძე.

შეგახსენებთ, „იმედის“ მომღერლებმა კასპის მერიისგან, ხალხის ფული, 12 ათასი ლარი უკვე მიიღეს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ ამომრჩეველი გაუნაწყენდა“

## ლევან ალაფიშვილი: „პოლიტიკური კრიზისი არის როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე“



ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, შეძლებს ოპოზიცია გაერთიანებას და საარჩევნო კოალიციის ფორმირებას?***

– ოპოზიციამ 2024 წლის არჩევნებისთვის დაიწყო მზადება. მათ დაიწყეს უკვე ძალების მოსინჯვა, მაგრამ არენაზე ჩანან მხოლოდ ცალკეული ლიდერები და არა პარტიები, თავიანთი მხარდამჭერებითა და პარტიული აქტივით. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არის გამართული პარტიული სისტემა.

რამდენად შეძლებენ გაერთიანებას და წინასაარჩევნო კოალიციის ფორმირებას, რთული სათქმელია. დიდი ოპოზიციური პარტია ასეთ ერთობაზე უარს ამბობს. არ არის გამორიცხული, რომ ნაციონალები მარტო გავიდნენ და დანარჩენი წვრილი პარტიები ერთი ქოლგის ქვეშ იყვნენ. თუმცა, ამას დრო გვიჩვენებს.

როგორც სახელისუფლო, ოპოზიციურ ფლანგზეც ძალიან რთული მდგომარეობაა, რადგან ელექტორატი ფლუსტრირებულია, იმედგაცრუებულია. დღეს ამომრჩეველი არჩევანის გარეშეა დარჩენილი და ამაზე ის ბოლო სოციოლოგიური კვლევები მეტყველებს, რომლის მიხედვითაც 50%-ზე მეტი ანუ ნახევარ ამომრჩეველზე მეტი არჩევანის გარეშეა. ძალიან სერიოზული სამუშაოების ჩატარება მოუწევს როგორც ოპოზიციას, ისე „ქართულ ოცნებას“. სრულიად ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ ურთულესი არჩევნები გველოდება.

***– რატომ?***

– უკვე აშკარაა, რომ ხელისუფლება იგივე სცენარით აპირებს წასვლას. ოპოზიცია კი ისევ ვერ შეთანხმებულა ტაქტიკაზე. ახალი არავინ ჩანს. რთული სიტუაციაა სწორედ ამიტომ.

***– როგორია ხელისუფლების სცენარი?***

– თავის დროზე, რატომაც დასჭირდა „პატრიოტთა ალიანსი“, მერე „სოციალ დემოკრატები“, დღეს იგივე მიზნისთვის სჭირდებათ ე.წ. განდგომილები ანუ „ხალხის ხმა“. „ოცნება“ ხედავს, რომ მისი ერთგული ამომრჩეველი განაწყენებულია. ცხადია, ის ხმას ნაციონალურ მოძრაობას არ მისცემს და არც სხვა იმ ოპოზიციურ პარტიას, რომელიც აქტიურობს. ამიტომ, ეს ხალხი სახლში რომ არ დარჩეს, სთავაზობს სოზარ სუბარს, დიმიტრი ხუნდაძეს, მიხეილ ყაველაშვილს ძირძველ, ერთგულ „მეოცნებეებს“. ამიტომ სრულიად მარტივად გასაშიფრი და მისახვედრი სვლაა. ეს პოლიტიკური თამაშებია, რომელიც „ოცნების“ მიერ კარგად არის დამუშავებული.

ეს არ არის სიახლე, ასეთი რამ ბევრი გვინახავს. ამას აკეთებს იმიტომ, რომ იცის, ძალიან ძლიერი იქნება საერთაშორისო ყურადღება, არჩევნების მონიტორინგი და ვერ გააყალბებს.

„ოცნება“ თადარიგს იჭერს, იცის, რომ მარტო გაუჭირდება და ამიტომ ნაციონალებთან კოალიციას, რა თქმა უნდა, სოზართან კოალიცია ურჩევნია. ძალიან მარტივად დგას საკითხი.

***– თუ დასჭირდება კოალიცია სწორედ ამ ხალხთან შეკრავს?***

– რასაკვირველია. საბოლოო მიზანიც ეს არის. ისინი მაინც ერთნი არიან და საბოლოოდაც ხელისუფლებასაც ისე დააკომპლექტებენ, როგორც უნდათ.

***– რა გამოდის, რომ ოპოზიცია ისევ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება?***

– დიახ, თუ ასე გაგრძელდა.

***– როგორ ფიქრობთ, დატოვებენ პარლამენტს?***

– არა მგონია. ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, უკვე დატოვა პარლამენტი. თუმცა, არაფერი გამორიცხული არ არის. გიორგი ვაშაძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტი დატოვოს, მაგრამ ამით, არ მგონია, დიდად შეიცვალოს პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში.

***– პოლიტიკური კრიზისის შექმნაზე საუბრობენ.***

– პოლიტიკური კრიზისი არის როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციურ ფლანგზე. თუ ამ კრიზისს ისინი ვერ ხედავენ, მაშინ ძალიან რთულად ყოფილა საქმე. ორივეს აქვს ელექტორალური კრიზისი და ეს ძალიან საშიში მდგომარეობაა. ამომრჩეველი ნიჰილიზმშია, აპათეაშია. არ სჯერა არც ერთი აქტორის. თუ არაფერი შეიცვლება, მაშინ შეიძლება 2024 წლის არჩევნები ერთ-ერთი დაბალამომრჩევლიანი არჩევნები იყოს, ანუ აქტიურობა დაბალი იყოს. თუმცა, წინ ორი წელია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# ნონა მამულაშვილი: „ვტოვებ პარლამენტს და ნაციონალურ მოძრაობას“

ნონა მამულაშვილი ნაციონალურ მოძრაობას და საქართველოს პარლამენტს ტოვებს. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.

მამულაშვილი განცხადებაში განმარტავს პოლიტიკაში მოსვლის მიზეზებს და აცხადებს, რომ მეათე მოწვევის პარლამენტი ყველაზე სამარცხვინო პარლამენტია დამოუკიდებლობის ისტორიაში.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მამულაშვილის თქმით, პარტია დიდი ხანია დაიცალა პოლიტიკისგან, სისტემური პრობლემები არ იძლევა სიახლის და გაჯანსაღების შესაძლებლობას.

– მეგობრებო, მინდა გაცნობოთ, რომ ვტოვებ პარლამენტს და ნაციონალურ მოძრაობას.

ორი წლის წინ პოლიტიკასა და პარლამენტში ერთადერთი მიზნით მოვედი, რომ მემუშავა ქვეყნის პროდასავლური განვითარებისთვის, ანუ, ეკონომიკურად ძლიერი, სამართლიანი და დაცული გარემოს შესაქმნელად.



გარემოში, სადაც სიღარიბე და უიმედობა ერთად ტანჯავს ქვეყანას, როცა ციხეში პოლიტიკური პატიმრები არიან, ოლიგარქიულმა სისტემამ კი ევროპული მომავალი ხელიდან გამოგვგლიჯა – საქართველოს პარლამენტი ქცეულია ადგილად, სადაც ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი კეთდება და ვერაფერი გაკეთდება.

მეათე მოწვევის პარლამენტი ყველაზე სამარცხვინო პარლამენტია დამოუკიდებლობის ისტორიაში, ამას საზოგადოების მხოლოდ 16-პროცენტიანი ნდობაც ადასტურებს. ამ პარლამენტის უმრავლესობამ ხელი მოაწერა ქვეყნისთვის ევროპული მომავლის ნგრევას, რითიც უღალატა ყველა წინა მოწვევის პარლამენტის სულისკვეთებას და, რაც მთავარია, ხალხის ნებას.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, პარტია დიდი ხანია დაიცალა პოლიტიკისგან. სისტემური პრობლემები არ იძლევა სიახლის და გაჯანსაღების შესაძლებლობას. ტრაგიკული ისაა, რომ ეს ერთსა და იმავე დროს ყველას და არავის ბრალია, რაც პოლიტიკურ ჩიხს კიდევ უფრო ამყარებს.

მე დღესაც, როგორც 2020 წელს, იგივე და მარტივი მიზანი მაქვს – მოქმედება. ვხედავ, რომ დღეს ამ ქვეყნის ინტერესებისთვის მუშაობა პარტიული პოლიტიკის გარეთ უფროა შესაძლებელი.

სწორედ ამიტომ, ვუერთდები გიორგი ხვედელიანისა @GiorgiKhvedeliani და ბექა ყორშიას მიერ თანამოაზრეებთან ერთად შექმნილ ინოვაციურ პლატფორმა „გამზირს“ გამზირი • Gamziri

გიორგის პარტიაში ყოფნისას, ჩვენ დაგვიგროვდა ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობის გამოცდილება, მისი ხედვები იყო და რჩება ყველაზე საინტერესო ხედვებად, რაც გარშემო მომისმენია. ჩვენ ერთად, „გამზირის“ პლატფორმაზე მალე დავიწყებთ ძალიან საინტერესო პროექტს – „რეისი“.

გარდა ამისა, მე და გიორგი, ჩვენს ქართველ, ევროპელ და ამერიკელ მეგობრებთან ერთად, ვმუშაობთ მასშტაბური, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საერთაშორისო პროექტის დასაწყებადაც. რისი მიზანიც, რა თქმა უნდა, ქვეყნის დასავლური მომავლისთვის ბრძოლა იქნება, – წერს მამულაშვილი Facebook-ზე.

# პეტრე ცაავა: „რაღაც გონივრულ ვადაში თუ მამალაძეს არ გაათავისუფლებენ, რაღაც უკიდურესი ზომებია მისაღები“

ევროსასამართლოს მიერ დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ჭყონდიდის განყენებული მიტროპოლიტი, მეუფე პეტრე „ტვ პირველთან“ აფასებს და საპროტესტო აქციების გამართვას არ გამორიცხავს.

მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ხელისუფლებამ ტყვეობაში მყოფი სასულიერო პირი პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლოს.

მეუფე პეტრე ცაავა იმაშიც დარწმუნებულია, რომ თუ საზოგადოების ზეწოლა არ იქნება, „ქართული ოცნება“ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

თეთრით შავზე ჩანს, რომ გიორგი მამალაძემ ეს პროცესი მოიგო. ფაქტობრივად, სამართლიანმა სასამართლომ მისი მხარე დაიჭირა. საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა 2017 წლიდანვე იცოდა, რომ ე.წ. ციანიდის საქმე შეკერილი იყო.

აღიარებს ევროპული სასამართლო, რომ უდანაშაულობის პრეზუმპცია დაირღვა.

– ყველაფერი უნდა გაკეთდეს, ულტიმატუმი უნდა წაუყენოს საზოგადოებამ, მეც მიმაჩნია, რომ ამაში მეც უნდა მივიღო მონაწილეობა, რომ რაღაც გონივრულ ვადაში თუ მამალაძეს არ გაათავისუფლებენ, რაღაც უკიდურესი ზომებია მისაღები, ეს იქნება პერმანენტული აქციების სახით საპატრიარქოსთან თუ მთავრობის ადმინისტრაციასთან, „ქართული ოცნების“ ოფისთან თუ ა. შ. – თქვა „პირველებთან“ პეტრე ცაავამ.

# გიგი წერეთელი: „ზურაბიშვილს თავად უნდა ესმოდეს, რომ შეწყალების ინსტრუმენტი ქვეყნისთვის უნდა გამოიყენოს“

„ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის, გიგი წერეთლის განცხადებით, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა იცის, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ციხეში არ უნდა იჯდეს, ამიტომ ერთადერთი ქმედითი ინსტრუმენტი, რაც მას გააჩნია, ეს შეწყალების ინსტრუმენტია.



გიგი წერეთელი გამოეხმაურა პოლიტიკოსების მხრიდან სალომე ზურაბიშვილისადმი მიმართვას, რომელიც გვარამიას შეწყალებას ეხება.

– ფორმალური მიმართვა თუ მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არ არის და მე არ ვფიქრობ, რომ ვინმე ამას ხელს არ მოაწერს ან უარს იტყვის, თუკი ეს საჭირო და რამის მომტანია, მაგრამ წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ეს ასე არ ხდება.

თავად სალომე ზურაბიშვილს, როგორც პრეზიდენტს, არ უნდა სჭირდებოდეს არანაირი დამატებითი მიმართვა, იმიტომ, რომ ის თავად უნდა გრძნობდეს, რა ვითარებაა ახლა. მან იცის, რომ გვარამია არ უნდა იყოს ციხეში. ერთადერთი ქმედითი ინსტრუმენტი, რაც მას გააჩნია, ეს არის შეწყალების ინსტრუმენტი.

მას უნდა ესმოდეს ისიც, რომ ამას მას სახლში არავინ გაატანს, ეს უნდა გამოიყენოს პრეზიდენტობისას და ახლა არის ეს მომენტი, როცა მას შეუძლია ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. არა გვარამიას პერსონალური სიმპათიების გამო, არამედ საჭიროების გამო, რომელიც ქვეყანას აქვს, რათა ეს სირცხვილი და ლაქა არ ჰქონდეს ევროინტეგრაციის ამ ექსტრაორდინარულ მომენტში, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

# ვახტანგ მეგრელიშვილი: „2006 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის გაუქმებას მე მოვაწერე ხელი“

– მინდა სიამაყით გითხრათ, რომ 2006 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის გაუქმებას მინისტრის ნაცვლად ხელი მე მოვაწერე და ამით ბედნიერი ვიყავი – იმედი მაქვს, კიდევ ერთხელ მექნება ბედნიერება, ამ სამსახურის გაუქმებაში მივიღო მონაწილეობა, – ეს განცხადება „გირჩის“ დეპუტატმა ვახტანგ მეგრელიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა, სადაც მთავარმა შრომის ინსპექტორმა სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა.



როგორც მეგრელიშვილმა განაცხადა, ორ თავისუფალ ადამიანს შეუძლია სრულიად თავისუფლად ითანამშრომლოს და მათ შუაში სახელმწიფო არ უნდა იდგეს.

– 2006 წელს სამსახური ვითომ იმ მიზეზით გაუქმდა, რომ იქ კორუფცია იყო. სინამდვილეში კორუფცია არაფერ შუაში იყო. იმ ადამიანებმა, რომლებმაც იფიქრეს და იზრუნეს, რომ ასეთი სამსახური არ სჭირდებოდათ, სამსახური გააუქმეს არა იმიტომ, რომ იქ ვილაც ფულს იპარავდა, არამედ იმიტომ, რომ ორ ადამიანს შორის ჩამდგარი სახელმწიფო არ არის სწორი. იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთხელ მექნება ბედნიერება – არ ვიცი, რა ფორმითა და სტატუსით – ამ სამსახურის გაუქმებაში მივიღო მონაწილეობა, – განაცხადა ვახტანგ მეგრელიშვილმა.



# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთში ახლად დანიშნულ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გოჩა ჯავახიშვილს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებული ურთიერთობის დინამიკა და მისი გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა გოჩა ჯავახიშვილს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

გოჩა ჯავახიშვილს მრავალწლიანი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. იგი საფრანგეთში, საქართველოს საელჩოში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი იყო.

გოჩა ჯავახიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ლევილის მამულისა და შატოს საქართველოსთვის გადმოცემის საქმეში. მას მიღებული აქვს საფრანგეთის ღირსების ეროვნული ორდენი და აკადემიური პალმის ორდენი.

# „დაჭრილი რუსები გაკვირვებას ვერ მალავდნენ, როცა მათ სამედიცინო დახმარებას ვუწევდით“

## ქართველი სამხედრო ექიმი ლაშა ვარშალომიძე: „ჩვენ და უკრაინას საერთო მტერი გვყავს“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ფრონტზე, ქართველი მებრძოლების გარდა, იღწვიან ქართველი ექიმებიც. სტომატოლოგ ლაშა ვარშალომიძეს უკრაინული მედია ესაუბრა. იგი 2007 წლიდან სწავლობდა ყირიმის სამედიცინო ინსტიტუტში. ამჟამად 95-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის სამხედრო ექიმია.




**ლაშა ვარშალომიძე:**

– ქართველი ვარ.. როცა ყირიმში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, ვხედავდი განწყობებს, ვგრძნობდი რუსულ კვალს. ეს ძალიან მაშფოთებდა. ქართველი ვარ და ვიცი ჩვენი ისტორია. ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც აფხაზეთიდან გამოდევნეს. არ მომწონდა ნახევარკუნძულზე გამეფებული პოსტსაბჭოთა ატმოსფერო. საქართველოში დაბრუნება მინდოდა. კიდევ კარგი, გარშემო მყავდა ჩემთან სულიერად ახლოს მყოფი უკრაინელები. 2008 წელს გრძნობები გამიმძაფრდა, როცა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

2012 წელს დიპლომისშემდგომი განათლების მიღება გადავწყვიტე. კლინიკურ ორდინატურას გავდიოდი კიევის შუპიკის აკადემიაში. იყო მაიდანი. ჩემს მეგობრებთან ერთად ვეჩეზე დავდიოდი. მესმოდა, რა ხდება და რისთვის იბრძვიან უკრაინელები. ყირიმის ანექსია მტკივნეულად განვიცადე. შესანიშნავად მახსოვდა, რა მოხდა ჩემს სამშობლოში. გაშმაგებული ვიყავი. იმ დროს დავკარგე ბევრი ყირიმელი მეგობარი. 2014 წელს უკვე ვმუშაობდი. როცა ჩემი მეგობრები ომში წავიდნენ, მათთან მუდმივი კავშირი მქონდა. 2022 წელს სტომატოლოგად ვმუშაობდი რამდენიმე კაბინეტში.

***– და ომიც დაიწყო. რა მოხდა შემდეგ?***

– თავიდან ველოდი, რომ ჩვენ ამას თავს გავართმევდით. შემდეგ გავაცნობიერე, რომ სწრაფ გამარჯვებას ვერ მივაღწევდით. მოდიოდა ცნობები, რომ ფრონტზე ექიმების ნაკლებობაა. ომამდე ჩვენთან (ძმაც აქ ცხოვრობს) საქართველოდან ჩამოვიდნენ მშობლები. დაიწყო ომი. მათი საქართველოში დაბრუნება ადვილი არ აღმოჩნდა. თანაც, მათ შვილების დატოვება არ უნდოდათ. საბოლოოდ, ისინი პოლონეთიდან გავუშვით შინ. მეორე დღეს უკვე ბრიგადას მივაკითხე. ეს მარტში მოხდა.

***– რა შეუძლია სტომატოლოგს ომში?***

– სტომატოლგები ამბობენ, რომ ისინი, პირველ რიგში, ექიმები არიან. აქ, ომში, სტომატოლოგებიც მუშაობენ, ტრავმატოლოგებიც, გინეკოლოგებიც და თერაპევტებიც. ჩვენ შეგვიძლია მთავარი – დაჭრილების დახმარება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

***– ომში ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?***

– ალბათ, ასეთი მეგობრობა, ერთიანობა და ერთმანეთის მხარდაჭერა არსად მინახავს. ომი აშიშვლებს სულის ისეთ სიმაღლეებს, რომლებისაც მშვიდობიანობის დროს ვერ ხედავ. შეგნებული ადამიანების ასეთი რაოდენობა არსად ყოფილა. ერთმანეთის მიმართ დახმარების გაწევა კოლოსალურია.

გასაოცარია ისიც, თუ როგორ ექცევიან რუსები თავიანთ დაჭრილებს. ისინი დახოცილებსაც ტოვებენ, დაჭრილ ჯარისკაცებსაც. მათი გადარჩენაც კი გვიწევს. მე ამას პატიოსნად, უემოციოდ ვაკეთებდი. მესმოდა – თუ ჩვენ არ დავეხმარებით დაჭრილებს, ასეთივე ველურები გავხდებით.

რუსები გაოცებას ვერ მალავდნენ, როცა ჩვენ, გაწვალების ნაცვლად, მათ სამედიცინო დახმარებას ვუწევდით, ტანსაცმელსა და საკვებს ვაძლევდით. მინდა ვიფიქრო, რომ მათ რაღაც გადააფასეს.

***– თქვენმა მშობლებმა როგორ აღიქვეს თქვენი ომში მონაწილეობა?***

– ისინი ამით ძალიან ამაყობენ. იციან, რომ ყველაფერი სწორად გავაკეთე. გენერალური შტაბის აკაუნტზე გამოქვეყნებული იყო ვიდეო, რომელშიც საქართველოს ულოცავდნენ დამოუკიდებლობის დღეს. იქ ჩართული იყო ჩემი მილოცვაც. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გავხდი ვიდეორგოლის გმირი. ჩემი მშობლები ასე ფიქრობენ – ჩვენი შვილი იბრძვის, ჩვენ და უკრაინას გვყავს საერთო მტერი. საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი ოკუპირებულია.

**საზოგადოება**

## კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 275.52 მლნ ლარით შემცირდა

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა (ბანკთაშორისი სესხების გარდა), 2022 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, 275.52 მლნ ლარით (0.64%-ით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 1.08%-ით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 42.94 მლრდ ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი ავრცელებს.



მათივე ცნობით, ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 384.81 მლნ ლარით (1.67%-ით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 660.33 მლნ ლარით (3.28%-ით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, გაიზარდა 0.42%-ით).

– რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2022 წლის სექტემბრის ბოლოს, კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 7.07 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 2.81%-ით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით 12.10 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 3.51%-ით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 0.19%-ით მეტი).

2022 წლის სექტემბრის განმავლობაში 0.07%-ით, ანუ 16.64 მლნ ლარით შემცირდა რეზიდენტი შინამეურნეობების სექტორის დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის 22.97 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის, მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 54.68 პროცენტი შეადგინა, 2022 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობასთან შედარებით, გაიზარდა 1.24 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, გაიზარდა 0.31 პროცენტული პუნქტით),– ნათქვამია სებ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 2 964 ბინა შეიძინეს



რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე საქართველოში შემოსულმა რუსეთის მოქალაქეებმა 711 იურიდიული პირი დაარეგისტრირეს, რუსეთის 9 789 მოქალაქე კი ინდივიდუალურ მეწარმედაა უკვე დარეგისტრირებული საქართველოში – ამის შესახებ ინფორმაციას „ბათუმელები“ ავრცელებს.

ოფიციალური ინფორმაციით, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეებიდან 112.733 ქვეყანაში დარჩა.

„ბათუმელების“ ცნობით, გამოცემამ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ივლისში მიმართა და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქონება დაირეგისტრირეს რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 2022 წლის პირველი მარტიდან დღემდე. ხუთთვიანი ლოდინის შემდეგ ეროვნულმა სააგენტომ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ, 2 ნოემბერს მიაწოდა.

რეესტრის მონაცემებით, 2022 წლის პირველი მარტიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში:

რუსეთის 2.585-მა მოქალაქემ საქართველოში ჯამში 2.964 ბინა შეიძინა, საერთო ფართობით – 189.084 კვ.მეტრი.

ამავე პერიოდში რუსეთის 252-მა მოქალაქემ საქართველოში მიწის 249 ნაკვეთიც შეიძინა, რაც ჯამში 37.9 ჰექტარია [აქედან რუსეთის 53 მოქალაქეს მიწის 61 ნაკვეთი შენობა-ნაგებობების გარეშე აქვს შეძენილი, 199-მა მოქალაქემ კი მიწის 188 ნაკვეთი შენობა-ნაგებობებიანად შეიძინა]. როგორც საჯარო რეესტრში ამბობენ, აღნიშნული მონაცემები დამუშავებულია რუსეთის მოქალაქეების პასპორტის მონაცემების მიხედვით.

## ძველ თბილისში ორსართულიანი შენობა ჩამოინგრა

ძველ თბილისში ხარფუხის ქუჩა ამ წუთებში პოლიციას აქვს გადაკეტილი. ადგილზეა მობილიზებული სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა. ადგილობრივებმა ნგრევის ხმა გაიგეს, გარეთ გამოსულებმა კი დაინახეს, რომ ორსართულიანი შენობა სრულად ჩამონგრეული იყო.

ხარფუხის ქუჩაზე შეწყვეტილია გაზის მიწოდებაც, რაც აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა, ნგრევას აფეთქება მოჰყვეს.

წყარო „პირველებს“ უყვება, რომ ადგილი გვაქვს ისევ სამშენებლო უსაფრთხოების დარღვევასთან, ძველ თბილისში სასტუმროს მშენებლობისთვის ჭრიდნენ საძირკველს, მიწის ამოღების შემდეგ კი გვერდით მდებარე სახლი ჩამოინგრა.

– ხმაურზე გამოვედი და ვნახე, რომ ჩემი სახლის ნახევარი მხარე წასულია, ჩამონგრეულია. გაზს აბრალებენ, მაგრამ გაზის მილს დაეცა შენობის ნაწილი და ძირს ჩააგდო. სასტუმროს მშენებლობა ჩემი სახლის გვერდით 4 თვეა, რაც მიმდინარეობს. ანგრევენ, თხრიან ყველაფერს. არ ვიცი, მერიაში რამდენი განცხადება არის შესული ჩვენგან, რომ მოგვხედონ, გააკეთონ გამაგრება. კაციშვილს არ აინტერესებს ჩვენი ამბავი, – ამბობს ხარფუხის ქუჩის მცხოვრები.




## ოქტომბერში მხოლოდ ბოსტნეული და ხილი გაიაფდა

2022 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.5%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 10.6 % შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის ოქტომბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.3% შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი, ასევე, 7.3%-ით განისაზღვრა.



„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ იმ 10 პროდუქტის ჩამონათვალს, რომელიც გასულ თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიაფდა:

პომიდორი – 23.9%-ით; კიტრი – 23%-ით; ქლიავი – 22.9%-ით; მწვანილი – 20%-ით; კივი – 19.3%-ით; კომბოსტო – 17.5%-ით; ფორთოხალი – 12.7%-ით; ბადრიჯანი – 10.8%-ით; ჭარხალი – 9.5%-ით; სტაფილო – 4%-ით

ინფორმაციისთვის, პომიდორი, კომბოსტო, ჭარხალი და სხვა პროდუქტი, რაზეც მიმდინარე წლის ოქტომბერში ფასები ყველაზე მეტად შემცირდა, 2021 წელს ყველაზე გაძვირებულ პროდუქტებს შორის იყო. კერძოდ, საქსტატის დეკემბრის მონაცემებით, 117,3%-ით იყო გაზრდილი ფასი პომიდორზე, 89,3%-ით კომბოსტოზე, 56,2%-ით ჭარხალზე და ა.შ.

## 10 პროდუქტი, რომელიც ოქტომბერში ყველაზე მეტად გაძვირდა

2022 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.5% ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 10.6 % შეადგინა.



რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის ოქტომბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7.3% შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი, ასევე, 7.3 %-ით განისაზღვრა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ იმ 10 პროდუქტის ჩამონათვალს, რომელიც ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე მეტად გაძვირდა:

სიმინდის ფქვილი – 76.1%-ით; შესქელებული რძე და რძის შემცველი პროდუქტი – 39.8 %-ით; ვაფლი კრემით – 39.3%-ით; ნამცხვარი – 38.6%-ით; მანდარინი – 36.7%-ით;

ხორბლის ფქვილი – 36%-ით; მარგარინი – 35.6%-ით; სულგუნი – 34.6%-ით; მდოგვი – 34.2%-ით; ვერმიშელი – 30.4%-ით

## მარნეულში სილამაზის სალონი გაქურდეს და 20.000 ლარამდე ღირებულების ნივთები მოიპარეს

მარნეულში სილამაზის სალონი გაქურდეს. მეპატრონის თქმით, ობიექტიდან 20.000 ლარამდე ღირებულების კოსმეტიკა, სამკაულები და სხვადასხვა ინვენტარია მოპარული.

შემთხვევა ღამის საათებში მოხდა. საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე გრძელდება. ადგილობრივი მოსახლეობა ბოლო დროს გახშირებულ კრიმინალურ შემთხვევებზე საუბრობს.

## ლენტეხის მერის კაბინეტი შურისძიების გამო დაცხრილეს?

პოლიციას ამ დრომდე არ ჰყავს იდენტიფიცირებული პირები, რომლებიც ლენტეხში ყველაზე დაცულ შენობას დაესხნენ თავს. დაცხრილულია მერის სამუშაო კაბინეტი. გამოძიებამ უკვე ამოიღო სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებს მერიის შენობაში.

ვინ და რატომ დაცხრილა გია ონიანის კაბინეტი, უცნობია. თავად მერი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, ერთ-ერთი ვერსიით კი, ეს იყო შურისძიება.

# იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, სტრასბურის სასამართლომ გიორგი მამალაძის განაჩენი კანონიერად მიიჩნია

იუსტიციის სამინისტრო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ე.წ. ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხმაურება.

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სტრასბურის სასამართლო მთავრობის პოზიციას დაეთანხმა, რომლის თანახმადაც, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მომწამლავი ნივთიერების „ჩადება“ გამორიცხულია.

უწყების ცნობითვე, დარღვევები, რომელიც სტრასბურის სასამართლომ საქმეში დაინახა, პროცედურული ხასიათისაა და ის გავლენას არ ახდენს განაჩენის კანონიერებაზე.

– ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიორგი მამალაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერად მიიჩნია და მომჩივნის პრეტენზია მორალური კომპენსაციის მინიჭების თაობაზე არ დააკმაყოფილა.

სტრასბურის სასამართლოს წინაშე გიორგი მამალაძე დავობდა, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მტკიცებულებების („ნატრიუმის ციანიდის“) მოპოვების გარემოებების გამო. იგი, აგრეთვე, ასაჩივრებდა მის მიმართ მიმდინარე სასამართლო პროცესის სრულად დახურვის საკითხს და ამტკიცებდა, რომ გენერალური პროკურატურისა და თანამდებობის პირების განცხადებების საფუძველზე დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმპცია.

სტრასბურის სასამართლომ მომჩივნის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების, მტკიცებულებათა მოპოვების გარემოებებისა („ნატრიუმის ციანიდის“) და მათი სანდოობის კუთხით დარღვევა არ დაადგინა. შესაბამისად, სტრასბურის სასამართლომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა ეროვნულ დონეზე საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოების დასკვნები მომჩივნის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე. საგულისხმოა, რომ სტრასბურის სასამართლო დაეთანხმა მთავრობის პოზიციას, რომლის თანახმადაც, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გამორიცხულია მომწამლავი ნივთიერების „ჩადება“, როგორც ამას მომჩივანი ამტკიცებდა. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გიორგი მამალაძის განაჩენი ეფუძნება საქმეში არსებულ არაერთ სხვა მტკიცებულებას, როგორიცაა მოწმეთა ჩვენებები, აუდიო და ვიდეომასალა, კომპიუტერული მონაცემები და სხვა.

რაც შეეხება მომჩივნის სხვა მოთხოვნებს, სტრასბურის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ წარმოებული საქმის სხდომების სრულად დახურვა არ იყო მკაცრად აუცილებელი. კერძოდ, ევროპული სასამართლოს შეფასებით, შიდა სასამართლოების მიერ სათანადოდ არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ არ შეიძლებოდა სხდომის ნაწილის საჯაროდ ჩატარება. ევროპულმა სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევად მიიჩნია ერთობლიობაში მომჩივნის წინააღმდეგ ცალკეული საჯარო განცხადებების გაკეთება და პროკურატურის მხრიდან საქმის მასალების ნაწილის საჯაროდ გამოქვეყნება, მაშინ, როდესაც დაცვის მხარის მიმართ გამოყენებულ იქნა ინფორმაციის გაუთქმელობის ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული დარღვევები არის პროცედურული ხასიათის და გავლენას არ ახდენს განაჩენის კანონიერებაზე, რაც კიდევ



ერთხელ დადასტურდა თავად ევროპული სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის საქმისწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი, მომჩივნის ჩხრეკა იყო კანონიერი და ციანიდის „ჩადებას“ ადგილი არ ჰქონია“ – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატი: „სტრასბურის სასამართლომ თქვა, რომ ადამიანის უფლება დარღვეულია, იუსტიციის სამინისტრომ პროცესი წააგო“



ე.წ. ციანიდის საქმეზე მსჯავრდებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის ერთ-ერთი ადვოკატის, დავით ჯანდიერის განცხადებით, ევროპული სასამართლო ბრალეულობაზე – ვინმე დამნაშავეა თუ არა, არ მსჯელობს, რადგან ეს მისი კომპეტენცია არ არის.

როგორც ჯანდიერი განმარტავს, გიორგი მამალაძის მიმართ მე-6 მუხლი, ანუ ადამიანის უფლება დაირღვა.

ჯანდიერის განცხადებითვე, დეკანოზ მამალაძეს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, უფლება აქვს, შესაბამის სამსახურს მიმართოს, რათა მისი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა მოხდეს.

– ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სამიდან ორი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის, ანუ სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა. სამი ძირითადი მოთხოვნა იყო სასამართლოს წინაშე დაყენებული, ერთი, მტკიცებულებების მოპოვებას და გამოყენებას უკავშირდებოდა, მეორე, საქმის განხილვას დახურულ რეჟიმში და მესამე, უკავშირდებოდა უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას. პირველ ნაწილში სასამართლომ თქვა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, სხვა ნაწილებში სასამართლომ თქვა, რომ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

მას აქვს შესაძლებლობა, კანონით გათვალისწინებული სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, უკვე მიმართოს შესაბამის სამსახურს იმისათვის, რომ უფრო მსუბუქი სასჯელით მოხდეს შეცვლა. ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლობას იძლევა, რომ სტრასბურის სასამართლოს საფუძველზე მოხდეს საქმის წარმოების განახლება იმ ნაწილში, რაც მის მსჯავრდებას უკავშირდება და რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში გამოიწვიოს განაჩენის გაუქმება. ასევე, პრეზიდენტს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებამოსილება აქვს, – განაცხადა ჯანდიერმა.

კითხვაზე, თუ რას უპასუხებს იუსტიციის სამინისტროს განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ძირითადად, პროცედურულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, იურისტმა ასე უპასუხა:

– ძალიან ვწუხვარ, თუ იუსტიციის სამინისტრომ ეს თქვა, რადგან მე-6 მუხლი არის მხოლოდ პროცედურული ნაწილი, სხვა არაფერს ეხება. სასამართლო არ ამბობს, ვინმე დამნაშავე არის თუ არ არის. საუბარია, პროცედურა რამდენად არის დაცული. სასამართლომ თქვა, მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში, ის კონვენციის დარღვევას ვერ უყურებს, რაც შეეხება პროცედურას, იმ ნაწილში, რაც უკავშირდება სხდომის საჯაროობის განხილვას და გამოძიების ნაწილს, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმპციასთან მიმართებაში, აქ თქვა, რომ დარღვევას ჰქონდა ადგილი. დარღვევა იყო, ეს არის მთავარი...

სასამართლომ თქვა, რომ მე-6 მუხლი დაირღვა, ადამიანის უფლება დარღვეულია, განაჩენები ეფუძნება ადამიანის უფლების დარღვევას და კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკას. იუსტიციის სამინისტრომ პროცესი წააგო და უხერხულია უბრალოდ, – განაცხადა ჯანდიერმა.

კითხვაზე, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს მამალაძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, იურისტი ასე პასუხობს:

– როცა საკითხი უკავშირდება კონვენციის დარღვევას, მაშინ განაჩენი არ არის კანონიერი. მტკიცებულებებთან ნაწილში სასამართლოს შემდეგი აქვს ნათქვამი. პირველი, ის, რომ ის არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რომელსაც შეუძლია გადააფასოს, კანონიერად მოხდა თუ არა მტკიცებულებების მოპოვება. ანუ, სტრასბურის სასამართლო არ აფასებს კანონიერების საკითხს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებაში, – განაცხადა ჯანდიერმა.

კითხვაზე, აღნიშნული გარემოებები შესაძლოა თუ არა, ხელახალი გამოძიების საფუძველი გახდეს, ჯანდიერი ასე პასუხობს:

– სტრასბურის სასამართლოს განაჩენი საფუძველია საქმის წარმოების განახლების, ეს „ორჯერ ორი, ოთხია“ .მინისტრთა კომიტეტი, მათ შორის, არსებობს შესაბამისი რეზოლუციებიც, რომელიც ითვალისწინებს იმ პირობებში, იმ დარღვევების შემთხვევაში, რასაც მამალაძის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა, საქმის წარმოების განახლებას.

სასამართლო ხარჯები დაკმაყოფილებული იქნა, რაც შეეხება სხვა ნაწილს, მორალური ზიანი არ დაუკმაყოფილებია, ეს არ არის გამონაკლისი. როცა სასამართლო ამბობს, რომ კონვენციის დარღვევას ჰქონდა ადგილი, ის მიიჩნევს, რომ კონვენციის დარღვეულად აღიარება საკმარისი საფუძველია და აღარ საჭიროებს თანხობრივი კომპენსაციის განსაზღვრას, – განაცხადა ჯანდიერმა.

# სპეცოპერაცია ოთხ რეგიონში და დაკავებული „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ქვემო ქართლში, აჭარასა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 4 პირი: 1962 წელს დაბადებული რ. ხ., ასევე წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირები: 1989 წელს დაბადებული გ. პ., 1990 წელს დაბადებული ბ. ს., 1980 წელს დაბადებული ს. ყ. დააკავეს. ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ – 1977 წელს დაბადებულ ჯ. ბ.-ს, მეტსახელად „ბონჩოს“ და 1974 წელს დაბადებულ ა.თ.-ს. ზემოაღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ „კანონიერი ქურდობა“, „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალვა.

ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის ბრალდებით დაკავებული და ბრალწარდგენილი პირები აქტიურად მონაწილეობდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაში, პირადი სარგებლისა და უპირატესობის მიღების მიზნით ერთვებოდნენ მოქალაქეთა და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფ პირებს შორის წარმოშობილი პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების მოგვარებაში, ასევე, „ქურდული წესებით“ გადაწყვეტაში, უკავშირდებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს, აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ , მათ შორის მინდია ლავასოღლის, ასლან ქობულაძეს, მეტსახელად „ბაბუ“-ს და მათგან მითითებებს იღებდნენ. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი „კანონიერი ქურდი“ – ჯ. ბ. (მეტსახელად „ბონჩო“), ქონებრივი სარგებლის მისაღებად, თავისი კრიმინალური გავლენის გამოყენებით მართავდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერ პირებს, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულ რ.ხ.-ს და ს.ყ.-ს. კერძოდ, ჯ.ბ.

აღნიშნული პირების მეშვეობით უკავშირდებოდა ერთ-ერთ მოქალაქეს გ.გ.-ს, რომლისგანაც ბრალდებულები ქართველი ბიზნესმენისგან სესხის სახით გამორთმეული თანხის – 55.000 ლარის გამოძალვას ცდილობდნენ, მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარითა და ე.წ. ქურდული გარჩევის გზით. დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




„კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილ გამოძალვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223 -ე პრიმა მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

## თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ვერცხლის ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“ სამართალდარღვევის ფაქტი აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ი.ს.-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ვერცხლი (საერთო წონა 8500 გრამი) საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა. არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 13.670.42 ლარი შეადგინა.

მათივე ცნობით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ საქართველოს მოქალაქეს, სანქციის სახით ფულადი ჯარიმა, საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობა, 13.670,42 ლარი შეეფარდა.

## ქუთაისში მანქანა დაიწვა

ქუთაისში, სასტუმრო „თბილისის“ ყოფილ შენობასთან, ავტომობილი დაიწვა. ადგილზე სახანძრო სამაშველო სამსახური და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფები იყვნენ მობილიზებულები. ავტომობილის აალების მიზეზი უცნობია, ერთ-ერთი ვერსიით, ცეცხლი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ გაჩნდა. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

## 9 თვეში „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულისთვის 64 პირია პასუხისგებაში მიცემული

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულისთვის პასუხისგებაში ჯამში 64 პირია მიცემული, მათ შორის, შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში 44 პირი შესახლდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის პასუხად აცნობეს, 2022 წლის მეორე კვარტალში – 28, ხოლო მესამე კვარტალში 15 ადამიანი დააკავეს.

უფრო კონკრეტულად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2022 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, სისხლის სამართლის 2231 მუხლით, რაც „ქურდული სამყაროს“ წევრობას, „კანონიერ ქურდობას“ გულისხმობს, 5 პირია დაკავებული, მუხლი 2233 – „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის“ ბრალდებით – 5 პირი, ხოლო მუხლი 2234 – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღების ბრალდებით – 5.

რაც შეეხება მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მონაცემებს, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 2231 – „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობის“ ბრალდებით, 13 პირი იყო დაკავებული, მუხლი 2233 – „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის“ ბრალდებით 6 პირი, ხოლო მუხლი 2234 – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღების ბრალდებით – 10.

სააგენტოსთვის გამოგზავნილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, უწყების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 2232 მუხლით, რაც „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობას გულისხმობს, არც ერთი პირი არ დაუკავებიათ.

ასევე 2022 წლის პირველ კვარტალში (იანვარ-მარტი) „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულისთვის 3 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა.

ცნობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2021 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 2 კანონიერი ქურდი, „ქურდულ სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და კანონიერი ქურდისთვის მიმართვის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიეცა 93 პირი.

# ირანში სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის მორიგი დაპირისპირება მოხდა



ირანში სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის მორიგი დაპირისპირება მოხდა.

არეულობა თეირანთან ახლოს სამგლოვიარო აქციაზე დაიწყო, რომლის მონაწილეებიც პოლიციელების მიერ მოკლული ახალგაზრდა ქალის, ნადის ნაჯაფის სიკვდილის მე-40 დღეს აღნიშნავდნენ.

მედიის ინფორმაციით, დაპირისპირება მას შემდეგ მოხდა, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასაფლაო დაკეტა და მოქალაქეებს ნაჯაფის საფლავთან მისვლა შეუზღუდა.

სამართალდამცავებმა დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

ნადის ნაჯაფი ირანის საპროტესტო აქციების ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. გოგონამ 21 სექტემბერს პლატფორმა „ტიკოტკზე" განცხადება გაავრცელა, რომ საპროტესტო აქციებს უერთდება, რის შემდეგაც ის რამდენიმე საათში პოლიციამ მოკლა.

მედიის ცნობით, ირანში საპროტესტო აქციების ჩახშობას ამ დროისათვის სულ მცირე 277 ადამიანი, მათ შორის 40 ბავშვი და 24 ქალი ემსხვერპლა.

# პაკისტანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იმრან ხანს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს



პაკისტანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იმრან ხანს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

BBC-ის ინფორმაციით, პაკისტანელი პოლიტიკოსი რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობდა, რა დროსაც მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს და ფეხში დაჭრეს.

მედიის ინფორმაციით, 70 წლის იმრან ხანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდასხმის დროს მის სიახლოვეს მყოფი 4 ადამიანი დაშავდა, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

იმრან ხანი პაკისტანის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას 2018-22 წლებში იკავებდა.

# რუსეთმა უკრაინაში იმაზე ორჯერ მეტი თვითმფრინავი დაკარგა, ვიდრე საბჭოთა კავშირმა ავღანეთის ომის 10 წლის განმავლობაში

რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი აგრესიის დროს უკრაინის დამცველებმა გაანადგურეს ორჯერ მეტი რუსული თვითმფრინავი, ვიდრე საბჭოთა კავშირმა დაკარგა ავღანეთის ომის 10 წლის განმავლობაში, – ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინაში განადგურებულია 278 რუსული თვითმფრინავი, ავღანეთში კი განადგურებული იყო 118 საბჭოთა თვითმფრინავი.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა აღნიშნა, რომ უკრაინის ომი რუსეთის ფედერაციისთვის სამარცხვინოა და მის კრახს გამოიწვევს.

# საბერძნეთის პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი კიევში ჩავიდნენ



საბერძნეთის პრეზიდენტი კატერინა საკელაროპულუ და ეროვნული თავდაცვის მინისტრი, ნიკოს პანაგიოტოპულოსი კიევში ჩავიდნენ, – ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, მოსალოდნელია, რომ ისინი მოლაპარაკებებს გამართავენ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვთან.

საბერძნეთის პრეზიდენტის ვიზიტი თავდაპირველად ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა, გადაიდო. ვიზიტი, უსაფრთხოების მიზნით, წინასწარ არ გამოცხადებულა.

# ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებით აქტიური ბრძოლები მიმდინარეობს

უკრაინის აღმოსავლეთით, ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულებით აქტიური ბრძოლები მიმდინარეობს, მაგრამ უკრაინის ჯარები იგერიებენ მტრის შეტევებს და ინარჩუნებენ პოზიციებს, – ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთ ჯგუფის წარმომადგენელმა სერგეი ჩერევატიმ განაცხადა.

– ბახმუტისა და ავდიივკას მიმართულება ყველაზე აქტიურია. მტერი მუდმივად ცდილობს თავდასხმის განხორციელებას ჩვენს პოზიციებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის დასახლებებზე: არტილერიიდან, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან, ნაღმმტყორცნებიდან, ტანკებიდან, ავიაციიდან, თუმცა, ჩვენმა ჯარებმა მოახერხეს ყველა თავდასხმის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება, – განაცხადა ჩერევატიმ.

მისი თქმით, მიმდინარეობს პოზიციური ომი, არის გარკვეული მოძრაობა, მაგრამ მცირე შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი ჩვენი ჯარები ცდილობენ გაათანაბრონ ფრონტის ხაზი.

# უკრაინის პორტები დღეს პროდუქტებით დატვირთულმა შვიდმა გემმა დატოვა



უკრაინის პორტები დღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამზიდავმა შვიდმა გემმა დატოვა, – ინფორმაციას უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გემები დატვირთული იყო 290.000 ტონა საკვები პროდუქტებით და ევროპისა და აზიის ქვეყნებისკენ გაემართა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გუშინ განაცხადა, რომ რუსეთი მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებაში მონაწილეობას განაახლებს. უწყებაში განმარტეს, რომ ჰუმანიტარული დერეფნისა და უკრაინის პორტების რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ „სამხედრო ოპერაციების" ჩატარების გამოუყენებლობის შესახებ საჭირო წერილობითი გარანტიების მიღება ოფიციალური კიევისგან შესაძლებელი გახდა.

# რუსმა ოკუპანტებმა უკრაინიდან 10.000-მდე ბავშვი გაიტაცეს



რუსმა ოკუპანტებმა 24 თებერვლის შემდეგ უკრაინიდან რუსეთის ტერიტორიაზე 10 ათასამდე უკრაინელი ბავშვი გადაიყვანეს, – ინფორმაციას უკრაინული მედია „ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრზე" დაყრდნობით ავრცელებს.

ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრში აცხადებენ, რომ რუსებს ბავშვები სკოლა-ინტერნატებიდან გამოჰყავთ და არ აბრუნებენ. ისინი იტაცებენ არა მარტო ობლებს, არამედ მშობლებთან ერთად მცხოვრებ ბავშვებსაც.

– ისინი გადაჰყავთ რუსეთში ბავშვთა ბანაკებში და მშობლებთან აღარ აბრუნებენ. ამით კრემლი ცდილობს, აიძულოს მშობლები, წავიდნენ რუსეთში შვილებთან და დატოვონ სახლები, – აცხადებენ ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრში.

მათივე ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ ადამიანები უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საკუთარ სახლებში დაბრუნებას ვერ ახერხებენ, რადგან რუსებმა საომარი მდგომარეობა შემოიღეს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## სპორტი

# ჩემპიონთა ლიგის ყველა მერვედფინალისტი ცნობილია

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ყველა მერვედფინალისტი ცნობილია. ბოლო ტურის წინ საკმარისი ინტრიგა იყო და ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა.**

### ე ჯგუფი

**მილანი-ზალცბურგი 4:0**

**1:0 ჟირუ (14), 2:0 კრუნიჩი (46), 3:0 ჟირუ (57), 4:0 მესიასი (90)**

ფლეი ოფის საგზური მილანმა მოიპოვა, რომელმაც ზალცბურგთან იოლად მოიგო – 4:0. დუბლი ოლივიე ჟირუმ შეასრულა, ხოლო თითოჯერ თავი რადე კრუნიჩმა და ჟუნიორ მესიასმა გამოიჩინეს. მილანმა ჯგუფი 10 ქულით დახურა და მეორე ადგილი ერგო. სხვათა შორის, ლომბარდიული გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში 2014 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს.

**ჩელსი-დინამო (ზ) 2:1**

**0:1 პეტკოვიჩი (7), 1:1 სტერლინგი (18), 2:1 ზაკარია (30)**

ჯგუფში პირველი ადგილი ჩელსიმ დაიკავა, ხოლო ევროპა ლიგაზე მილანის ძლეულმა ზალცბურგმა გადაინაცვლა.

ზაგრების დინამოს მხოლოდ მოგება აწყობდა, ლონდონელებისთვის კი შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა, ფეარ პლეის წესები ბოლომდე იქნა დაცული.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 2.მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-7 | 10 |
| 3.ზალცბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-9 | 6 |
| 4.დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |

### ფ ჯგუფი

**რეალი-სელტიკი 5:1**

**1:0 მოდრიჩი (6პ), 2:0 როდრიგო (21პ), 3:0 ასენსიო (51), 4:0 ვინისიუსი (61), 5:0 ვალვერდე (71), 5:1 ჟოტა (84)**

რეალს ფლეი ოფის საგზური გარანტირებული კი ჰქონდა, მაგრამ პირველი ადგილისთვის შინ სელტიკთან გამარჯვება სჭირდებოდა. კარლო ანჩელოტის შეგირდებს შეუსრულებელი მისია ნამდვილად არ ჰქონიათ და მარტივადაც გადაჭრეს.

„სამეფო კლუბმა" შოტლანდიურ გუნდს ადვილად აჯობა – 5:1 და ჯგუფში პირველი პოზიცია დაიკავა.

**შახტარი-ლაიფციგი 0:4**

**0:1 ნკუნკუ (10), 0:2 სილვა (50), 0:3 სობოსლაი (62), 0:4 ბონდარი (68სკ)**

ამ მატჩში მეორე ადგილის ბედი წყდებოდა: უკრაინელები მოგების შემთხვევაში გავიდოდნენ ჯგუფიდან, გერმანელებს ფრეც აწყობდათ. საბოლოოდ, ლაიფციგი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და პირველ ტურში იმავე შახტართან შინ 1:4 წაგების გამო სრულფასოვანი რევანში აიღო.

შედეგად, ლაიფციგელებმა 12 ქულა დააგროვეს და მეორე ადგილი დაიკავეს. შახტარი ევროპა ლიგაზე გადაერთო, ხოლო სელტიკი ევროტურნირებს დაემშვიდობა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-6 | 13 |
| 2.ლაიფციგი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-9 | 12 |
| 3.შახტარი | 6 | 1 | 3 | 2 | 8-10 | 6 |
| 4.სელტიკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |

### ჯ ჯგუფი

**სიტი-სევილია 3:1**

**0:1 მირი (31), 1:1 ლუისი (52), 2:1 ალვარესი (73), 3:1 მაჰრეზი (83)**

ამ ჯგუფში ბოლო ტურს ფორმალური ხასიათი ჰქონდა და გუნდებს თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ.

სიტიმ, მიუხედავად იმისა, რომ სევილიას თავიდან აგებდა, ბოლოს მაინც პრობლემების გარეშე მოუგო და ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა.

**კოპენჰაგენი-დორტმუნდი 1:1**

**0:1 აზარი (23), 1:1 ჰარალდსონი (41)**

დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენმა დორტმუნდთან პრესტიჟის ქულა მოიპოვა – 1:1. ერთია, ამაში ქართველ მცველს არანაირი წვლილი არ შეუტანია, რადგან წინა ტურში მოედნიდან გააძევეს და დისკვალიფიცირებული იყო.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-2 | 14 |
| 2.დორტმუნდი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-5 | 9 |
| 3.სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 6-12 | 5 |
| 4.კოპენჰაგენი | 6 | 0 | 3 | 3 | 1-12 | 3 |

### ჰ ჯგუფი

**მაკაბი-ბენფიკა 1:6**

**0:1 რამოსი (20), 1:1 ჩერი (26), 1:2 მუსა (59), 1:3 გრიმალდო (69), 1:4 რ.სილვა (73), 1:5 არაუხო (88), 1:6 ჟ.მარიო (90)**

ყველასთვის მოულოდნელად, ჯგუფში პირველი ადგილი ბენფიკამ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კალეიდოსკოპი

# ქალმა ლატარიაში მოგება ახალი ბილეთების ყიდვით აღნიშნა და ისევ მოიგო

აშშ-ში 70 წლის ქალმა 100 ათასი დოლარი მოიგო ლატარიის გათამაშებაში და ამის აღსანიშნავად ახალი ბილეთების შეძენა გადაწყვიტა, რის შედეგადაც კიდევ 300 ათასი დოლარით გამდიდრდა.

ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მომენტალური ლატარიის ბილეთი ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე შეიძინა, დამცავი ფენა გადაფხიკა და შეიტყო, რომ სოლიდური მოგების მფლობელი გახდა.

– პირველი ჩემი საუკეთესო დაქალი იყო, რომელსაც მოგების შესახებ გავუმხილე და ის ლატარიის შტაბ-ბინაში გამომყვა მოგებული 100 ათასი დოლარის მისაღებად, – განაცხადა იღბლიანმა ქალმა.

უკანა გზაზე ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა გადაწყვიტა, მოგების აღსანიშნავად ავტოგასამართ სადგურზე კიდევ სამი ბილეთი შეეძინა. ქალმა დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ კიდევ 300 ათასი დოლარი მოიგო.

ქალის თქმით, ის მოგებულ თანხას პენსიისთვის გადადებს.

# ავსტრალიელმა მეხანძრეებმა საქველმოქმედო კალენდრისთვის 30-ედ გაიხადეს



ორგანიზაცია Firefighters Calendar-მა გამოუშვა ყოველწლიური კალენდრების სერია, რომლებზეც ავსტრალიელი მეხანძრეები არიან აღბეჭდილები. ამის თაობაზე ინფორმაცია ორგანიზაციის დირექტორმა დევიდ როჯერსმა გამოაქვეყნა.

მან აღნიშნა, რომ წელს პროექტი პირველი გამოშვებიდან 30 წლისთავს აღნიშნავს. ამ დროის მანძილზე 3,4 მილიონი დოლარის შეგროვება მოხერხდა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის.

პროექტის იუბილესთან დაკავშირებით ახალი 2023 წლის კალენდრისთვის გადაღებაში ექვსმა ავსტრალიელმა მეხანძრემ მიიღო მონაწილეობა და ისინი ლოს-ანჯელესში მიიწვიეს. მათ კლერი კლარკსონის და კიდევ რამდენიმე პოპულარულ ტელეშოუში მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ ყოველ წელს მეხანძრეებს გადაღებებში კომპანიონობას უწევენ ძაღლები, ცხენები, კატები და ზოგიერთი გარეული ცხოველიც. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ახალი კალენდარი ადამიანებს ცხოველთა თავშესაფრებიდან მოსავლელად ცხოველების აყვანისკენ უბიძგებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ხარისხიანი რაგბისა და გულშემატკივრობის მოლოდინში

ნოემბრის ტესტ-მატჩების დაწყებამდე სამი დღით ადრე, ბორჯღალოსნებმა შევარდენის სანაკრებო ბაზაზე გულშემატკივრებისთვის ტრადიციული ღია ვარჯიში გამართეს და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

საქართველო პირველ თამაშს 6 ნოემბერს, 18 საათზე, დინამო არენაზე ურუგვაის წინააღმდეგ გამართავს, 12-ში სამოას უმასპინძლებს, ხოლო 19-ში კარდიფში უელსს ერკინება.

ეროვნული ნაკრების კაპიტანი მერაბ შარიქაძე შემოდგომის ტესტებზე ბორჯღალოსნებს მე-40 უკაპიტნებს და ირაკლი აბუსერიძის შედეგს გააუმჯობესებს. სიტუაციაში კარგად ჩაერთვნენ დებიუტანტები და მათი გარჯით ყველა კმაყოფილია.

**გიორგი კვესელაძე:**

– მაღალი ინტენსივობის ძალიან კარგი ვარჯიში გვქონდა. ვფიქრობ, უკვე შევთამაშდით და ნოემბრის ტესტებს მომზადებულები ვხვდებით. მიზანი, რა თქმა უნდა, სამივე შეხვედრის მოგებაა და ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. გვყავს დებიუტანტები, რომლებმაც მარტივად აუღეს ალღო სიტუაციას და ძალიან კარგ ფორმაში არიან. განვიხილეთ ურუგვაის ძლიერი და სუსტი მხარეები და მათ ჩვენს ძლიერ მხარეებს დავუპირისპირებთ.

**ბექა სალინაძე:**

– სამწუხაროდ, გვყავს ტრავმირებული მოთამაშეები, მაგრამ სპორტი დანაკლისის გარეშე წარმოუდგენელია. მათ ნაცვლად გუნდში არიან დებიუტანტები. დღეს გვქონდა მაღალი ინტენსივობის ვარჯიში. ძალიან დიდი ენერგია გვაქვს და ამ ენერგიას სწორი მიმართულება უნდა მივცეთ. იტალიასთან გამარჯვების შემდეგ ჩვენი თამასა იმდენად აიწია, რომ უფლება არ გვაქვს, ურუგვაისთან ხარისხიანი თამაში არ ვაჩვენოთ.

ნაკრებს დინამო არენაზე მხარდამჭერების ქომაგობა გარანტირებული ექნებათ. მხარდამჭერი კლუბის, „ბორჯღალოსნების“ საბჭოს წევრის, ილია როდონაიას თქმით, გუნდის წევრები რამდენიმე საათით ადრე შეიკრიბებიან და ქალაქში შესაბამის ატმოსფეროს შექმნიან.

**ილია როდონაია:**

– ურუგვაისა და სამოასთან მატჩებზე მარჯანიშვილის მეტროდან 4 საათზე დავიძრებით და სტადიონამდე ხმაურიან მსვლელობას მოვაწყობთ. 300-ზე მეტმა ჩვენმა წევრმა უკვე დაგვიდასტურა მონაწილეობა. ვფიქრობ, „ბორჯღალოსნების“ მხარდასაჭერად ადგილზე კიდევ ბევრი შემოგვიერთდება.

პირველად სამოას 6 წლის წინათ რომ ვუმასპინძლეთ, მახსოვს, როგორი სტვენა-სიცილი მოჰყვა სამოელთა ტრადიციულ ცეკვა სივა-ტაუს. მას შემდეგ ქართველი გულშემატკივარი მნიშვნელოვნად გაიზარდა, უკეთ ესმის რაგბის ნიუანსები და ტრადიციები, იცის, რომ ფეხბურთისგან განსხვავებით, რაგბის მატჩზე მეტოქისა თუ მსაჯის შეურაცხყოფა დაუშვებელია, რომ ეს ჯენტლმენების თამაშია და ურთიერთპატივისცემის ფონზე მიმდინარეობს.

რაგბის მხარდამჭერი გუნდი – „ბორჯღალოსნები“, სწორედ მაშინ, 6 წლის წინათ დაფუძნდა და ამჟამად 550 წევრს ვითვლით; ბათუმში 6 ერის წევრი იტალიის დამარცხების შემდეგ ჩვენი არმია თითქმის გაორმაგდა; ამ გამარჯვებამ რაგბისადმი ინტერესი და მხარდაჭერა მკვეთრად გაზარდა; არსებული სტერეოტიპის წინააღმდეგ, რომ რაგბი ძირითადად კაცების თამაშია, ინტერესი და აქტიურობა ქალების



მხრიდან მეტია, ამჟამად ჩვენს წევრთა ნახევარზე ოდნავ მეტი სწორედ ქალები არიან და საბჭოს შემადგენლობაშიც, 7 წევრიდან 3 გოგონაა.

მხარდამჭერი კლუბი „ბორჯღალოსნები“ ძირითადად სტუდენტებს აერთიანებს, მაგრამ კარი ყველასთვის ღიაა; ძირითადი აქტივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის წერეთლის სახელობისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არიან; სულ ახლახან გენერალ მაზნიაშვილის ლეგიონიც შემოგვიერთდა, რომელიც ახალგაზრდებს სამხედრო წვრთნებს სთავაზობს; შემოდგომის ამ სერიებზე, სამოასა და ურუგვაისთან სტადიონზე ძალებს პირველად გავაერთიანებთ.

გვაქვს დაფდაფები, დიდი დროშები, ფან-კლუბის მაისურები, ჩვენი შეძახილები და სიმღერა, – ჩვენს საგულშემატკივრო სტრატეგიას ყველას ვუზიარებთ და ვასწავლით, ვურიგებთ მაისურებს, მატჩების ბილეთებს, რაშიც რაგბის კავშირი გვეხმარება, დანარჩენს საწევროების ხარჯზე ვახერხებთ, მცირე დაფინანსებას კომპანია „ყაზბეგიც“ გამოყოფს. იმედი გვაქვს, რომ სასპონსორო აქტივობაც და თანამშრომლობაც რაგბის კავშირთან გაიზრდება. ბუნებრივია, ქომაგებს მეტი შეხვედრა და ურთიერთობა სურთ მორაგბეებთან და თუ ეს მიზიდულობა ორმხრივი იქნება, ჩვენი რიგები მკვეთრად გაიზრდება, რაც ქართულ რაგბსაც წაადგება – ტყუილად არ უწოდებენ გულშემატკივარს მე-16 მოთამაშეს.

ჩვენ მე-12, მე-13 სექტორებს ვიკავებთ, ალამთან, სადაც მაყურებელი ნაკლებად არის და შეგვიძლია ჩვენი 10-მეტრიანი დროშები თავისუფლად გავშალოთ. თუ სტადიონი შევსებულია, ჩვენი მუხტი დანარჩენებსაც გადაედებათ – ტაშსაც, შეძახილებსაც და ტალღასაც აიტაცებენ, თუმცა თუ მაყურებელი ნაკლებია და ჩვენგან მოშორებით სხედან, კონტაქტი რთულია და სტადიონის დამუხტვაც ვერ ხერხდება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ მატჩებზე სტადიონი სრულად გაივსოს – ისე, როგორც ბათუმში იტალიასთან შეხვედრისას იყო. ვფიქრობ, იმ ისტორიულ გამარჯვებაში გულშემატკივრის წვლილი დიდი იყო და ახლაც ასე იქნება, თუკი ბორჯღალოსნებს ყველა გვერდით დავუდგებით.

ბათუმის მატჩი სხვა მხრივაც იყო სანიმუშო – პირველად მოხდა ისე, რომ რაგბი მთელი ქალაქის ზეიმად იქცა, გულშემატკივრობა მატჩამდეც იყო, არა მხოლოდ სტადიონზე, არამედ – ქუჩებშიც: კონცერტები, მსვლელობები, დროშები – ისე, როგორც ეს ევროპაში, 6 ერის მატჩების წინ ხდება; ჩვენც ამ დონის გულშემატკივრობა გვჭირდება, რაგბი ჩვენი თამაშია, ყოველი ჩვენგანის და თითოეული მაღალი რანგის შეხვედრა ზეიმად უნდა ვაქციოთ. ველით, რომ ამ სერიების შედეგად მსოფლიო რეიტინგში სარეკორდო მე-11 ადგილს ისევ დავუბრუნდებით და გულშემატკივრობის მზარდი მუხტით, ზევითაც ავიწევთ. ყველას გელით სტადიონზე, ერთად დავუდგეთ გვერდში ჩვენს ნაკრებს და საქართველოს.

# საქართველოს ნაკრები მაროკოს ამხანაგურად გაეჯიბრება




საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 17 ნოემბერს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს. ვილი სანიოლის კრებული მაროკოს დაუპირისპირდება. შეხვედრა არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაიმართება.

საქართველოს ნაკრების მეტოქე 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. მაროკო ფიფას რეიტინგში აფრიკის ზონის ქვეყნებს შორის მეორე პოზიციას იკავებს, სრულ კლასიფიკაციაში კი 22-ე ადგილზე იმყოფება.

საქართველოს ეროვნული ნაკრები 14 ნოემბერს თბილისში შეიკრიბება, მომდევნო დღეს კი, ჩვენი გუნდი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაემგზავრება.

საქართველოსა და მაროკოს საფეხბურთო ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა 17 ნოემბერს, თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება.

არის საუბარი იმაზეც, რომ ჩვენი გუნდი 20 ნოემბერს იქვე, საუდის არაბეთში ამხანაგურად კოტ დივუარის ნაკრებსაც ეთამაშოს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს...

# ჩემპიონთა ლიგის ყველა მერვედფინალისტი ცნობილია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

დაიკავა. ლისაბონურმა გუნდმა ჰაიფაში მაკაბი 6:1 გაანადგურა.

როგორც ეტყობა, თვლა პორტუგალიაში უკეთ იციან, ვიდრე პარიზში. თუ რატომ, ამას ცოტა ქვემოთ შეიტყობთ.

### იუვენტუსი-პსჟ 1:2

**0:1 მბაპე (13), 1:1 ბონუჩი (39), 1:2 მენდეში (69)**

იუვენტუსმა, ძალიან დიდი დანაკლისის მიუხედავად, პსჟ-ს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ობიექტურად მარცხს არ იმსახურებდა, მაგრამ წააგო. შედეგად, ტურინული გრანდი ევროპა ლიგაზე გადავიდა.

რაც შეეხება პირველი ადგილის ბედს: ბენფიკამ და პსჟ-მ ჯგუფი იდენტური მაჩვენებლებით დაასრულეს: 14-14 ქულა, 16-16 გატანილი გოლი, 7-7 გაშვებული გოლი, სრული თანაფარდობა ურთიერთშეხვედრებში – 1:1, 1:1.

საბოლოოდ, პირველი პოზიცია ბენფიკას იმიტომ ერგო, რომ სტუმრად ფრანგულ გუნდზე მეტი გოლი გაიტანა. სწორად დაითვალეს ლისაბონელებმა და ბენფიკამ ისრაელში მისთვის საჭირო ორი გოლი ბოლო ორ წუთში გაიტანა.

### საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 6 | 4 | 2 | 0 | 16-7 | 14 |
| 2.პსჟ | 6 | 4 | 2 | 0 | 16-7 | 14 |
| 3.იუვენტუსი | 6 | 1 | 0 | 5 | 9-13 | 3 |
| 4.მაკაბი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-21 | 3 |

შედეგად, ფლეი ოფში გავიდნენ: ნაპოლი, ბენფიკა,



რეალი, პორტუ, ბაიერნი, ჩელსი, ტოტენჰემი, სიტი (პირველი ადგილი); აინტრახტი, ლივერპული, მილანი, პსჟ, ბრიუგე, ლაიფციგი, დორტმუნდი, ინტერი (მეორე ადგილი);

მერვედფინალში პირველადგილოსნები მეორეადგილოსნებს ეთამაშებიან. თუმცა, რამდენიმე წესი მაინც არსებობს. ერთმანეთს ვერ შეხვდებიან ერთი ჯგუფის და ერთი ქვეყნის გუნდები.

თვალსაჩინოებისთვის, ნაპოლი ვერ ითამაშებს ლივერპულთან (თანაჯგუფელი), მილანთან და ინტერთან (როგორც იტალიური გუნდები).

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა 7 ნოემბერს გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**


# სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166.**
**მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. მსხვილი მემამულე; 5. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 10. დიდი სატრანსპორტო სამგზავრო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხეს მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. ტერიტორიული ერთეული; 23. შაქრით, ჩაისა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

**თარაზულად**:6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად: 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმისი; 20. მაყურებელთა ადგილი თეატრში; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 23. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 25. უსიტყვო როლების შემსრულებელი მსახიობი თეატრში; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნეკრესი; 2. კატალონია; 3. ხერთვისი; 4. დროზერა; 5. გუთანი; 9. ბრინზა; 11. კონკური; 12. ციბონა; 14. ვაუჩერი; 18. აგავა; 19. შარკო.

**თარაზულად:** 4. დალესი; 5. გლდანულა; 6. გენია; 7. ბოკერია; 8. ხარება; 10. ეთიკა; 13. სევანი; 15. ოაზისი; 16. საკე; 17. ჭაჭა; 20. ჩაჩავა; 21. კათეტი; 22. დავლური; 23. კუმისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ენდშპილი; 3. ვირსალაძე; 4. წახნაგი; 5. მიზანთროპი; 10. მწნილი; 11. ბაჰრეინი; 12. კატრანი; 13. ბარამბო; 16. მადრიგალი; 17. კალევალა; 19. აგრონომი; 21. ჰონდა; 23. ნუსხა.

**თარაზულად:** 6. მელანქოლია; 7. ბარკეთი; 8. გელაპი; 9. ნატამალი; 14. მაჩაბელი; 15. გუტიერეში; 18. პანტა; 20. თალმუდი; 22. ჰონვედი; 24. მონაკო; 25. ტაბლოიდი; 26. ხახული.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7491 | ევრო — 2.6760 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0925 | 100 რუსული რუბლი — 4.4077 |

## ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისათვის




## ანჩელოტი: „სელტიკთან ყველამ იდეალურად ითამაშა“



მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე სელტიკს 5:1 მოუგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ის გუნდის თამაშით კმაყოფილია და მისმა ფეხბურთელებმა დავალება ძალიან კარგად შეასრულეს: „მინდა, რომ ფეხბურთელებს მადლობა ვუთხრა, რადგან მათ ყველაფერი იდეალურად გააკეთეს და მაყურებელმა სიამოვნება მიიღო“.

## ხავი: „ევროპის ლიგა უნდა მოვიგოთ“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ განაცხადა, რომ ბარსელონას შეუძლია ევროპის ლიგის მოგება, თუ ისინი ითამაშებენ გამართულ ფეხბურთს და იქნებიან სტაბილურები: „ევროპის ლიგა რთული ტურნირია, სადაც ბევრი ძლიერი გუნდია და მათ წინააღმდეგ თამაში იოლი არ იქნება. ევროპის ლიგის მოგება ძალიან გვინდა და ამისთვის ძალებს არ დავიშურებ“.

## მბაპე: „პსჟ ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის და საჭიროა ძალების ბოლომდე კონცენტრირება იმისთვის, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე პსჟ-მ შეძლოს საუკეთესო თამაშის ჩვენება: „მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ, ხოლო ამისთვის კი გაცილებით უკეთესი თამაშია საჭირო. ჩვენ ყველამ ჩვენს თავზე მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## შვედეთში ქართული კულტურის დღეები გაიმართება

11-12 ნოემბერს შვედეთის სამეფოში, სტოკჰოლმში საგრანტო პროგრამის გამარჯვებული ქალთა ორგანიზაცია „დეიზის“ და შვედეთის წმინდა გიორგის ქართული სამრევლოს ორგანიზებით გაიმართება ქართული კულტურის დღეები.

„წარმატების ფორმულა“ ქართველ ხელოვანებთან ერთად – ასე უწოდეს კვირეულს მისმა ორგანიზატორებმა.

პროექტის ფორმატში წარმოდგენილი იქნება საჯარო ლექცია „ქართული ტრადიციები“, მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია: „ქართული ტრადიცია“, ქართველი ხელოვანების ნამუშევრების წარდგენა/გამოფენა, მუსიკალური პერფორმანსები სტოკჰოლმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მგალობელთა გუნდის „ალილო“, სტოკჰოლმის ბავშთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „შოშია“ და სტოკჰოლმის მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო“ მონაწილეობით. ქართული კულტურის დღეები ტრადიციულად ქართული პროდუქციის წარდგენასაც ითვალისწინებს.

12 ნოემბერს მომღერალი მაია ბარათაშვილი მსმენელისთვის მუსიკალურ პერფორმანსს „ჯაზი და ღვინო“ წარადგენს. ამავე დღეს რეჟისორი მანანა ანასაშვილი საზოგადოებას უჩვენებს მერაბ კოკოჩაშვილის ფილმს „ღვინის აკვანი“.

შვედეთის სამეფოში გამართული ქართული კულტურის დღეების სპეციალური სტუმარი ნიკოლოზ წულუკიძე იქნება.

## ასტროპროგნოზი



4 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დღე რთული იქნება. მოსალოდნელია კონფლიქტი საქმიან პარტნიორებთან. ემოციები შეიკავეთ. **კურო** – მომძლავრებული ენერგია დიადი საქმეებისკენ გიბიძგებთ. წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში. **ტყუპები** – გაისეირნეთ, ურთიერთობა დაამყარეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან. შესაძლოა, ვიღაც გავლენიან პირს თქვენი მფარველობის სურვილი გაუჩნდეს. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებს კომფორტი შეუქმნათ. იყავით დამთმობი და ლოიალური. **ლომი** – ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გრძნობთ. ერიდეთ საკუთარი აზრის კატეგორიულად გამოხატვას. **ქალწული** – პასიური დღეა. განმარტოება და საკუთარ თავში ჩაღრმავება გჭირდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – იფრთხილეთ. ნერვებს ნუ აჰყვებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება საღი განსჯისა და ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი პერიოდია ინტიმური შეხვედრებისა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისათვის. **მშვილდოსანი** – გაერთეთ, დაისვენეთ, გადით ქალაქგარეთ. შეგიძლიათ, განწყობა ბაღში მუშაობითაც გამოიკეთოთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი დღეა. სასიკეთოდ წაგადგებათ ასევე ფიზიკური დატვირთვა, ვარჯიში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. ფულის გონივრულად დაბანდება კარგ მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – ზებუნებრივი ძალები გმფარველობენ. შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. საქმიანი გარიგებებით კმაყოფილი დარჩებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– რატომ ხარ უხასიათოდ?
– გუშინ მე და ჩემმა შეყვარებულმა ვიჩხუბეთ.
– რატომ?
– მეტროთი მგზავრობის დროს მინაზე ვაორთქლებდი და მის სახელს ვწერდი...
– მერე მაგის გულისთვის იჩხუბეთ?
– არ უყვარს, როდესაც სათვალეებზე უორთქლებენ.

•••

ქმარი კვდება, ცოლი საწოლის თავთან დგას და მოთქვამს:
– ღმერთო, ასე რატომ ხდება? ამის მერე როგორ უნდა ვიცხოვრო? აღარავის ვენდომები, აღარავის გავახსენდები, შემიცოდეთ ხალხო, იტირეთ ჩემთვის!
ქმარმა თვალი გაახილა და ეკითხება:
– ქალო, რაღაც ვერ გავიგე ვინ კვდება, მე თუ შენ?

•••

ერთი დაქალი მეორეს სმს-ს უგზავნის:
– 38,5! ყველაფერი მტკივა.
დაქალი პასუხობს:
– შენც უფრო მოკლე ვერ შეარჩიე?“

•••

ავადმყოფი ფსიქოთერაპევტს მიმართავს:
– ექიმო, ბოლო დროს ძალიან მაშფოთებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა!
– რას ამბობთ, ძვირფასო, არანაირი ეკონომიკა ჩვენ არ გვაქვს, ეგ ყველაფერი მითია, ბოდვაა! თქვენ ალბათ ალკოჰოლს ზედმეტად ეტანებით?!

•••

დედა შვილს ეუბნება:
– პური ჭამე, შვილო.
– დედა, არ მიყვარს პური.
– პური ჭამე და დიდი და ძლიერი გახდები.
– რისთვის?
– რომ პურის ფული გამოიმუშაო.
– კი მაგრამ, ხომ არ მიყვარს პური.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნიკა ვაჩეიშვილი ტელეწამყვანი გახდა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი ტელეწამყვანი გახდა.

ტელეკომპანია „მთავარის“ გადაცემაში „შენი დილა“ ხელოვნებათმცოდნე ყოველ ოთხშაბათს მაყურებელს შეხვდება,

„ნიკა ვაჩეიშვილის საინტერესო ამბები ქართულ კულტურაზე“ – ასე ჰქვია ახალ რუბრიკას, რომლის მთავარი სასაუბრო თემა ქართული კულტურა და შეუფასებელი საგანძური იქნება.

**ნიკა ვაჩეიშვილი:**

– ახალი რუბრიკა დავიწყეთ „მთავარ არხზე“. ვერც ვიფიქრებდი. დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისთვის.

## ბრუნო ვეფხვაძის ნახატები ამერიკის საერთაშორისო კონკურსის ფინალშია




მხატვარ ბრუნო ვეფხვაძის ორი ნამუშევარი რეალისტური ფერწერის საერთაშორისო კონკურსის ფინალში მოხვდა.

სასიხარულო ინფორმაცია მხატვარმა გულშემატკივრებს თავად გაუზიარა:

– ორივე ჩემი ნატურმორტი – „რომაული გაზაფხული“ და „ჰარი პოტერი“ გავიდა რეალისტური ფერწერის ამერიკის მე-16 საერთაშორისო კონკურსის ფინალში. მხოლოდ ეს ორი ნამუშევარი იყო წარდგენილი არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი ამიერკავკასიიდან. კონკურსის ფინალი ზუსტად ორ თვეში გაიმართება.

## ნანა ქავთარაშვილი პრაღაში იმღერებს



ქართველი ოპერის მომღერალი ნანა ქავთარაშვილი პრაღაში იმღერებს.

სოპრანო კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელის წინაშე 5 ნოემბერს წარდგება:

– კონცერტი ულამაზეს ქალაქ პრაღაში და ასევე ულამაზეს საკონცერტო დარბაზში.

## „მეგას“ დაჯილდოება მამუკა ონაშვილის ხსოვნას მიეძღვნება




5 ნოემბერს მცხეთის კულტურის სახლში „მეგას“ დაჯილდოების 23-ე საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს გამოავლენენ.

ტრადიციული ნომინაციების გარდა, „მეგას“ ორგანიზატორებს დაწესებული აქვთ 5 საპატიო მეგა – „თეონას მეგა“, „ეთოს მეგა“, „თემოს მეგა“, „დოიჯას მეგა“ და „მამუკას მეგა“. „თეონას მეგა“ თეონა ქუმსიაშვილის სახელობისაა, „ეთოს მეგა“ – ეთერ კაკულიასი, „თემოს მეგა“ – თემურ წიკლაურის, „დოიჯას მეგა“ – ზურაბ დოიჯაშვილის, „მამუკას მეგა“ კი – მამუკა ონაშვილის. ხუთივე ნომინაცია ვინმე ერთ კონკრეტულ ადამიანს ან ჯგუფს ცალ-ცალკე – სხვადასხვა დამსახურებების მიხედვით გადაეცემა.

## ანსამბლი „არსიანი“ 100 წლისაა

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,არსიანი“ 100 წლისაა. საუკუნოვანი თარიღი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში აღინიშნა.

გრანდიოზული საიუბილეო კონცერტის ფარგლებში გაიმართა ანსამბლის საცეკვაო სამოსის ექსპოზიცია და ფოტოგამოფენა „დაარსებიდან დღემდე“, რომელიც კონცერტით დაგვირგვინდა. რეჟისორმა ბაკურ ბაკურაძემ „არსიანის“ 100 წლის იუბილეზე მიწვეულ სტუმრებს წარუდგინა გამორჩეული პროგრამა ქალაქური სიმღერისა და ფოლკლორის საუცხოო სინთეზით.

ანსამბლის საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობდნენ: აკადემიური ანსამბლი „არსიანი“, მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, სოფო ხალვაში, ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“ და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრი.

„არსიანის“ 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი ფოერვერკით დასრულდა.

## ბორის აკუნინის „ჰამლეტი“ მოძრაობის თეატრში დაიდგმება



მწერალ ბორის აკუნინის, იგივე გრიგორი ჩხარტიშვილის „ჰამლეტი. ვერსია“ მოძრაობის თეატრში დაიდგმება.

სპექტაკლის რეჟისორი, მხატვარი, ქორეოგრაფი და პროდიუსერი **ირინა გაჩეჩილაძე:**

– 25 ნოემბერს გვაქვს პრემიერა, ბორის აკუნინის „ჰამლეტი. ვერსია“, რომლის მსოფლიო პრემიერა დავდგი ნიუ იორკში. ახლა ქართველ არაჩვეულებრივ მსახიობებთან ერთად ქართულ ენაზე ინგლისური სუბტიტრებით ვდგამ. ჩვენს სპექტაკლს მასპინძლობს მოძრაობის თეატრი.

ჩვენი შემადგენლობა – მსახიობები: თეკო ჩუბინიძე, ლილი ხურითი, ირაკლი ხრიკაძე, გიორგი ზანგური, თემო გვალია, ვასილ ბახტაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩო ქაჯაია, ლევან ხარშილაძე.

კომპოზიტორი – ზაზა მარჯანიშვილი, კომპიუტერული გრაფიკა – მიშა ივანიშვილი, აფიშის დიზაინი – გელა პატიაშვილი, აფიშაზე გამოყენებული ნამუშევარი – სოფო ტაბატაძე. პროდიუსერები – ნანიკო შონია, ირინა გაჩეჩილაძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 2. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 5. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 11. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 12. ქართველი მგოსანი; 14. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 18. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 19. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო.

**თარაზულად:** 4. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში; 5. ბადაგითა და ფქვილით მომზადებული ტკბილეული; 6. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 7. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 10. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 13. გამოცანა ნახატებით, ასოებითა და სიმბოლოებით; 15. სახელმწიფო ევროპაში; 16. უკრაინის პარლამენტი; 17. ფულის ერთეული არგენტინაში; 20. მიკროკლიმატის მქონე აპარატი დღენაკლული ჩვილი ბავშვის სამკურნალოდ; 21. აგავისგან დამზადებული მექსიკური არაყი; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. შოკოლადით დაფარული ნაყინი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*